

უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელის აზერბაიჯანული ორგანიზაციების

განცხადება

ეინულა ფატულაევის დაპატიმრებასთან დაკავშირებით 06.07.2010

უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელის წევრები გმოზენ აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, ეინულა ფატულაევისათვის ორნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთის მისჯის ფაქტს და აღნიშნულ ქმედებას აზერბაიჯანში გამოხატვის თავისუფლების დარღვევად აფასებენ.

ფატულაევი უკვე იხდის რვა წლიან სასჯელს 2007 წელს აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ მის წინააღმდეგ შეთხზული ტერორიზმის, ცილისწამების, რასობრივი შუღლის გაღვივებისა და გადასახადებისაგან თავის არიდების ბრალდებით. ფატულაევის საქმესთან დაკავშირებით, 2010 წლის 22 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებაში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა მისი უფლებების დარღვევა და ბრძანა მისი დაუყოვნებლივი გათავისუფლება.

თუმცა, დაუყოვნებელი გათავისუფლების მაგივრად, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ფატულაევს ახალი შეთხზული სისხლის სამართლის ბრალდებები წაუყენა, რომლებიც ნარკოტიკების უკანონო შენახვას გულისხმობდა.

წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო პროცესის შიდა კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის მძიმე დარღვევებით მიმდინარეობა აშკარად მიუთითებდა, რომ ფატულაევისადმი წაყენებული ბრალდებები იყო უსაფუძვლო და უკანონო. ჟურნალისტის დაკავება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

ქსელის წევრები ხაზს უსვამენ დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის თავისუფლებასა და ჟურნალისტთა კრიტიკული მოსაზრებებისადმი აზერბაიჯანის ხელისუფლების ტოლერანტულობის აუცილებლობას.

ქსელი მოუწოდებს აზერბაიჯანის ხელისუფლებას, აღასრულოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ეინულა ფატულაევი და შეწყვიტოს მის წინააღმდეგ უსამართლო სამართალწარმოება.

ხელის მომწერი ორგანიზაციები:

სამართლებრივი განათლების საზოგადოება

ჟურნალისტთა თავისუფლებისა და უსაფრთხოების ინსტიტუტი

მედიის უფლებების ინსტიტუტი

აზერბაიჯანში ქალთა უფლებების დაცვის დილარა ალიევას სახელობის ასოციაცია

დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების რესურს ცენტრი, საზოგადოებრივი აზრი

არჩევნების მონიტორინგისა და დემოკრატიის სასწავლო ცენტრი

თავისუფალი ეკონომიკის ხელშეწყობის საზოგადოებრივი ასოციაცია

ჰუმანიტარული კვლევის საზოგადოება